მედიცინის ფაკულტეტი

2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი

<u>მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამა:</u>

- მედიცინის პროგრამის მე-2 და მე-4 სემესტრების სტუდენტებისათვის ლექცია-პრაქტიკული მეცადინეობები, პროგრამის საბაზისო და პრეკლინიკურ სასწავლო კურსებში, სწავლის დაწყებიდან პირველი 4 კვირის განმავლობაში ჩატარდება დისტანციურ ფორმატში. მე-5 კვირიდან სილაბუსით გათვალისწინებული ყველა სახის სასწავლო კომპონენტი განხორციელდება არადისტანციურ რეჟიმში, უნივერსიტეტის ბაზაზე.

- მედიცინის პროგრამის მე- 6, 8, 10 და 12 სემესტრების სტუდენტებისათვის კლინიკურ საგნებში სწავლების პირველივე კვირიდან პრაქტიკული მეცადინეობები ჩატარდება კლინიკებში სრულად ან შერეული ფორმატით.

<u>სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა :</u>

- სტომატოლოგიის პროგრამის მე- 2, 4 და 6 სემესტრების სტუდენტებისათვის ლექცია-პრაქტიკული მეცადინეობები, პროგრამის საბაზისო და პრეკლინიკურ სასწავლო კურსებში, სწავლის დაწყებიდან პირველი 4 კვირის განმავლობაში ჩატარდება დისტანციურ ფორმატში. მე-5 კვირიდან სილაბუსით გათვალისწინებული ყველა სახის სასწავლო კომპონენტი განხორციელდაება არადისტანციურ რეჟიმში, უნივერსიტეტის ბაზაზე.

- სტომატოლოგიის მეორე სემესტრის სტუდენტებისათვის სასწავლო კურსი: **,,გადაუდებელი სამედიცინო დახმარება“** ჩატარდება უნივერსიტეტის კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრში;

- სტომატოლოგიის მე-8 და მე-10 სემესტრების სტუდენტებისათვის პრაქტიკული მეცადინეობები კლინიკურ საგნებში სწავლების პირველივე კვირიდან ჩატარდება კლინიკებში სრულად ან შერეული ფორმატით.

<u>ფარმაციის საგანმანათლებლო პროგრამა;</u>

- ფარმაციის პროგრამის მე-2, 4, 6 და 8 სემესტრების სტუდენტებისათვის პირველი 4 კვირა ჩატარდება ონლაინ ფორმატში, ხოლო მე-5 კვირიდან, თეორიული, ლაბორატორიული და პრაქტიკული კომპონენეტები ჩატარდება საუნივერსიტეტო სივრცეში.

- ფარმაციის პროგრამის მე-6 სემესტრის სტუდენტებისთვის საგანი **,,პირველადი ექიმამდელი დახმარება“** ჩატარდება უნივერსიტეტის კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრში.
- ფარმაციის პროგრამის მე-8 სემესტრის სტუდენტებისთვის საგანი **„ფარმაცევტული ტექნოლოგიები - წამლის საქარხნო ტექნოლოგია (პრაქტიკა)“** განხორციელდება პრაქტიკის ობიექტზე.